

მონოპოლისტა ხვედრი

თორნიკე შარაშენიძე

გიპას საერთაშორისო პოლიტიკის პროგრამის კოორდინატორი

ვინ გამოუთხრის ძირს “მაიკროსოფტს?”

რამდენიმე ხნის წინ დოუ ჯონსის ინდექსმა სარეკორდო სიმაღლეებს მიაღწია. ეს მოვლენა ერთი შეხედვით უჩვეულო იყო – აშშ-ის ეკონომიკა ჩავარდნას არ განიცდის, მაგრამ ამავე დროს არც განსაკუთრებით სახარბიელო მდგომარეობაშია. ბიუჯეტის უზარმაზარი დეფიციტი, დოლარის კურსის მკვეთრი დავარდნა, უარყოფითი სავაჭრო ბალანსი, ერაყულ კამპანიაზე დახარჯული ასეულობით მილიარდები. აშშ-ის ეკონომიკა ყოველივე ამას იტანს (სხვა ქვეყნის ეკონომიკა კი ნამდვილად ვერ აიტანდა), მაგრამ თუმცა ერაყული კამპანიის გარეშე იგი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში იქნებოდა და დოუ ჯონსის ინდექსის (აშშ-ის 30 წამყვანი კორპორაციის აქციათა საშუალო მაჩვენებელი) აწევაც არავის გაუკვირდებოდა.

ინდექსის აწევის უკან კი იდგა ინფორმაცია მოსალოდნელი მსხვილი კორპორაციული გარიგებების შესახებ, რამაც ამ კორპორაციათა აქციები გაზარდა და დოუ ჯონსზეც იმოქმედა. მათ შორის არსებობდა ინფორმაცია, რომ “მაიკროსოფტი” “იაჰუს” შეყიდვით იყო დაინტერესებული.

“მაიკროსოფტის” ამგვარი ინტერესი სრულიად ბუნებრივი იყო. იყო დრო, როცა ამ კომპანიის შესახებ არავის სმენოდა და პროგრამული უზრუნველყოფის ბაზარზე “აიბიემი” იყო გამეფებული. დღედღობით უკვე ძნელად თუ სმენია ვინმე “აიბიემის” პროგრამების შესახებ, სამაგიეროდ პრაქტიკულად ყველა მოიხმარს “უინდოუსს.” “აიბიემს” კომპიუტერების წარმოება ღარჩა და რამდენიმე ხნის წინ იგი ერთ-ერთ ჩინურ კომპანიას მიეყიდა.

ბილ გეიტსმა “აიბიემის” პირველობას გამოუთხარა ძირი. მან იცის ეს როგორ ხდება და ამიტომ ახლა სერიოზულად შიშობს თავად მას არ გამოუთხაროს ძირი ისეთმა კომპანიამ, რომელზეც ცოტა ხნის წინ არავის არაფერი სმენოდა. ამ შიშიდან გამომდინარე 2005 წელს გეიტსმა პროგრამული უზრუნველყოფის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი სპეციალისტი რეი ოზი დაიქირავა. ოზიმ უფროსს თავისი მოსაზრებები გაუზიარა და ყველანაირად დაადასტურა ის შიში, რომელიც გეიტსს აწუხებდა. “მაიკროსოფტის” პირველობას საფრთხე ემუქრება და ამ საფრთხეს “გუგლი” ეწოდება.

“მაიკროსოფტის” ჰეგემონია პროგრამული უზრუნველყოფის პროდუქციაზე დგას. კომპიუტერის მომხმარებელთა უმრავლესობა “უინდოუსებს” იყენებს და ეს უკანასკნელიც კარგად იყიდება. “გუგლის” ძლიერება კი უფასო ინტერნეტ მომსახურებას ეფუძნება. მისი შემოსავლის წყაროს საინტერნეტო რეკლამა წარმოადგენს. წლების წინ ამგვარი შემოსავლის წყაროს “მაიკროსოფტი” ალბათ არც ისე სერიოზულად უყურებდა, მაგრამ ამ წლების განმავლობაში “გუგლი” ისე გაიზარდა, რომ ყველასათვის აშკარა გახდა – საინტერნეტო რეკლამა სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს.

“მაიკროსოფტი” ჯერჯერობით ისევ წარმატებით ყიდის “უინდოუსს,” მაგრამ გეიტსმა კარგად იცის, რომ კომპიუტერულ სამყაროში “გუგლისნაირი”

წარმატებული კომპანიის შემოჭრა ერთობ სახიფათოა – დღეს საინტერნეტო რეკლამა, ხვალ კი იქნება პროგრამული უზრუნველყოფაც. “გუგლი” უკვე “სეილსფორ.კომთან” აწარმოებს მოლაპარაკებას. ეს უკანასკნელი ინტერნეტის მეშვეობით მომხმარებელს კომპიუტერული უზრუნველყოფის პროდუქციას სთავაზობს და ცხადად უწევს კონკურენციას “მაიკროსოფტს.”

სწორედ ამით იყო განპირობებული “იაჰუს” შესყიდვის სურვილი – მეტოქისათვის დარტყმის მიყენება მისსავე მოედანზე, მისსავე სფეროში. რომელიც ჩანს სურვილი მხოლოდ სურვილად დარჩა, რადგან რამდენიმე დღის წინ “მაიკროსოფტმა” 6 მილიარდი დოლარი გაიღო “ექსენტივში.” ეს უკანასკნელი სწორედ საინტერნეტო რეკლამითაა დაკავებული. მაგრამ რამდენად დააკავებს ეს “გუგლის” ექსპანსიას?

“გუგლის” წარმატებები მის ზეპოპულარულ საინტერნეტო საძიებელ სისტემას ემყარება. ბოლო გამოკითხვებით საძიებლად “გუგლს” ინტერნეტის მომხმარებელთა 59% იყენებს. “მაიკროსოფტისეული” “ემესენი” 9%-ით მესამე ადგილზე იმყოფება “იაჰუს” შემდეგ. “იაჰუს” შექმნის შემთხვევაში გეიტსის კომპანიას კონკურენციის შანსი ეძლეოდა – საინტერნეტო რეკლამა უპირველესად საძიებელი სისტემის დამსახურებაა. რეკლამის მოსაპოვებლად სისტემის გაუმჯობესება გაცილებით უფრო ეფექტური საშუალებაა, ვიდრე სარეკლამო ფირმების შესყიდვა. მითუმეტეს, რომ ამგვარი ფირმების შესყიდვაში “გუგლს” მაინც ვერაფერს ჯობს – თვეში მან “მაიკროსოფტს” აჯობა და 3,1 მილიარდად შეისყიდა “დაბლ ქლიქი.” ამან ნამდვილი პანიკა გამოიწვია კონკურენტებში. “მაიკროსოფტმა” “გუგლს” მონოპოლისტი უწოდა (ბილ გეიტსის კომპანიისგან ამგვარი ბრალდება მართლაც სასაცილოა), “იაჰუმ” კი სასწრაფოდ შეისყიდა “რაით მედია.”

“მაიკროსოფტი” იმდენად დიდი კომპანიაა, რომ მონოპოლისტობაში ბრალდების გამო წლების განმავლობაში სასამართლოში იცავდა თავს. საინტერესოა, რომ ამბაირი “პრივილეგია” აშშ-ში კიდევ მხოლოდ “ეი-ტი ენდ ტისა” და “აიბიემს” ხვდათ წილად. “ეი-ტი ენდ ტიმ” თავი კარგად ვერ დაიცვა – მას აქტივების დიდი ნაწილი ჩამოართვეს, რომელთა საფუძველზეც კავშირგაბმულობის უფრო მოძვრო კომპანიები (“ბეიბი ბელები”) შეიქმნა. “აიბიები” სასამართლოს გადაურჩა, მაგრამ ვერ გადაურჩა ახლად აღმოცენებულ კონკურენტს. ზუსტად ასევე გადაურჩა სასამართლოს “მაიკროსოფტიც.” ნუთუ ისტორია მეორდება?

“მეგობრობის” აღსასრული

რუსული ენერგორესურსების ნაციონალიზაცია არა მხოლოდ კერძო ინვესტორების ხელიდა მათ გამოგლეჯას და კრემლის კონტროლის ქვეშ გადაცემას ნიშნავს. ეს ასევე ნიშნავს, რომ რუსულმა ნავთობმა თუ გაზმა მაქსიმალური მოგება უნდა მოუტანოს ქვეყანას და ამ მიზნის მისაღწევად მაქსიმალურად უნდა გამოირიცხოს ყველა შუამავალი ტრანზიტული ქვეყანა, რომელიც რანზიტში რუსულ ნავთობს იღებს.

გასულ კვირას რუსეთის მთავრობამ მოიწონა ახალი მილსადენის მშენებლობის პროექტი, რომელიც ბელორუსიის გვერდის ავლით უნდა გავიდეს ბალტიის ზღვაზე. მილსადენის მშენებლობა 18 თვეში უნდა დასრულდეს. მისი მეშვეობით პრიმორსკის ტერმინალი მომარაგდება, რომელიც ევროპას დღეში 2,5 მილიონ ბარელ ნავთობს მიაწვდის.

ახალ პროექტს მრავალმხრივი დატვირთვა აქვს. ჯერ ერთი, რომ იგი სერიოზულ დარტყმას აყენებს ბელორუსს – კიდევ ერთ “ურჩ” ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკას, რომელიც ხელმძღვანელიც წლების განმავლობაში იაფად იღებდა და რუსულ გაზს, შემოსავალს იტოვებდა ნავთობის ტრანზიტთან და სანაცვლოდ რუსეთს მხოლოდ ბუნდოვანი დაპირებებით კვებავდა იმისა თაობაზე, რომ ერთ მშვენიერ დღეს ბელორუსი “უფროს ძმას” შეურთდებოდა. როცა მოსკოვისათვის აშკარა გახდა, რომ სლაჟური ანშლუხი არ შედგებოდა, ბელორუსისათვის გაზის ფასმა მკვეთრად აიწია. მაგრამ კონფლიქტმა გაზის გარდა ნავთობსადენიც ჩაითრია, რასაც ბელორუსიდან ევროპაზე მიმავალი “დრუჟის” მილსადენის დროებით გაჩერებაც მოჰყვა.

ახალი პროექტი არა მხოლოდ ბელორუსის, არამედ მთლიანად “დრუჟის” წინააღმდეგაა მიმართული. “დრუჟა” ბელორუსიდან პოლონეთზე, უნგრეთზე, სლოვაკიაზე, ჩეხეთსა და გერმანიაზე გადის. მისი განშტოებებით ნავთობი მიეწოდებოდა ასევე ლიტვასა და ლატვიას. მაგრამ მათ მიწოდება უკვე შეუწყდათ. ლატვია “მეგობრულ ნავთობს” 2003 წლის აქეთ ვეღარ იღებს, ლიტვას კი იგივე პრობლემა 10 თვის წინ შეექმნა. ახალი მილსადენი ბელორუსის გარდა კიდევ ერთ “ურჩს,” - პოლონეთსაც ურტყამს, რომელიც ასევე ასრულებს ტრანზიტულ ფუნქციას. მილსადენის მშენებლობის იდეა “ტრანსნეფტმა” ბელორუსთან კონფლიქტის შემდეგ წამოაყენა და თუმცა მისკმა ახლახან ნაწილობრივი კაპიტულაცია გამოაცხადა – დაუთმო რა “გაზპრომს” თავისი სახელმწიფო გაზკომპანიის, “ბელტრანსგაზის” 50% - კრემლმა მილსადენის პროექტი მაინც მოიწონა. მიზეზი ისევ და ისევ იმაში უნდა ვეძებოთ, რომ მილსადენი ბელორუსის გარდა სხვებსაც ურტყამს და საბოლოოდ უსვამს წერტილს სოციალისტურ მეგობრობას.

მეგობრობის ეპოქა დასრულდა, მას სხვა მიდგომა ცვლის. ენერგომომწოდებლებთან რუსეთი უაღრესად რაციონალურ და პრაგმატულ დამოკიდებულებას ამჟღავნებს. მას თურქმენული გაზი სჭირდება. ეს ნიშნავს, რომ იგი არანაირად არ აკრიტიკებს თურქმენეთს დემოკრატიის ნაკლებობის გამო. ნიაზოვის გარდაცვალების შემდეგ მოსულ თურქმენეთის ახალ მმართველსაც დრო სჭირდება, რათა თავის პოსტზე კარგად მოიკიდოს ფეხი და ამიტომ რუსეთთან ურთიერთობების გართულება არ აწყობს. უზბეკეთის პრესიდენტ კარიმოვის უფლებამოსილება ამა წლის იანვარში გაუვიდა და წლის ბოლოს ახალ არჩევნებს გეგმავს. დასავლეთის დამოკიდებულება ამგვარი ხელისუფლებისადმი წინასწარვე გასაგებია – რაც არ უნდა სჭირდებოდეს გაზზე რუსეთის მონოპოლიის დანგრევა უზბეკეთში დემოკრატიის შელახვაზე იგი თვალს ვერ ხუჭავს.

ყაზახეთის შემთხვევა უფრო რთულია. ეს ქვეყანა არ წარმოადგენს აზიურ დესპოტიას და დასავლეთი მასთან თანამშრომლობისათვის უფრო გახსნილია. მაგრამ ჩანს ნაზარბაევს “ნაბუქოსა” და ტრანსკასპიური გაზსადენის პროექტი საკმაოდ შორეულ პერსპექტივად მიაჩნია და ამ ეტაპზე გაცილებით უფრო რეალურ წამოწყებებს ამჯობინებს – მაგალითად, თურქმენულ-ყაზახურ-გაზსადენს. გარდა ამისა, აშკარაა რომ ნაზარბაევს სულაც არ სურს, რომ ყაზახეთი “პოლანდიის სნეულებით” შეპყრობილ ტიპიურ აზიურ ქვეყანას დაემსგავსოს – ქვეყანას, სადაც ჩამკვდარია წარმოება და განვითარება და რომელიც ნავთობიდან მიღებული შემოსავლით ცხოვრობს. არადა, დასავლეთში ბევრი მიეჩვია, რომ მენავთობე ქვეყნები ამგვარი ბედით კმაყოფილდებიან ხოლმე.

მოკლედ, ენერგომომწოდებლებთან რუსული მიდგომის მიკხედვით გაზს სუნი არა აქვს. რაც შეეხება, ენერგომომხმარებლებთან რუსულ მიდგომას, ეს უფრო რთული ფენომენია. ყოფილი მეგობრებიდან “ურჩები“ - ბალტიისპირეთი, პოლონეთი, უკრაინა, ბელორუსი – განსაკუთრებით ისჯებიან ხოლმე. სამაგიეროდ, მოსკოვი თბილად ეპყრობა იმათ, სადაც თავის დროზე არცთუ ისე კარგი მოგონებები დატოვა – გერმანიას, ჩეხეთს, უნგრეთს. პრეზიდენტმა პუტინმა ისიც განაცხადა, რომ რუსეთი საბჭოთა კავშირი არ არის და 1956 და 1968 წლის მოვლენებისათვის პასუხს არ აგებს (თუმცა, ამავე დროს 1945 წლის გამარჯვებაზე მთლიანად რუსეთს აქვს პრეტენზია). შედარებით დიდ ევროპულ ქვეყნებთან კარგი დამოკიდებულებით მოსკოვი ძველი კონტინენტის გულის მოგებას ცდილობს და უნდა საქმე ისე წარმოაჩინოს, რომ ორმხრივ (რუსეთი-ევროკავშირი) ურთიერთობებს პოლონეთისა და ესტონეთის მსგავსი ზედმეტად ამბიციური ქვეყნები აფუჭებენ. ამ მანევრის შესაძლოა ბევრს არავის სჯერა, მაგრამ საქმე ისაა, რომ გაზი ყველას სჭირდება და საქმე საქმეზე როცა მივა შესაძლოა ზოგიერთმა საკუთარი თავი დააჯეროს კიდევაც.

ჩინური ვალუტა ისევ პრობლემაა

გასულ კვირას აშშ-სა და ჩინეთს შორის ორმხრივი ეკონომიკური თანამშრომლობის საკითხებზე მოლაპარაკებები გაიმართა. აშშ-სათვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი – იუანის დაბალი კურსი – პრაქტიკულად ისევ ღიად დარჩა. ჩინელებმა ეკონომიკურ სამიტამდე რამდენიმე დღით ადრე აზიური თავაზიანობა გამოიჩინეს და პარტნიორებს წინასწარ გაუკეთეს საჩუქარი – იუანზე კონტროლი შესუსტდებოდა და იგი დოლართან მიმართებაში ყოველდღიურად 0,3-0,5%-ით გამყარდებოდა. მაგრამ ეს საჩუქარი ვაშინგტონისათვის არც ისე დამაჯერებელი აღმოჩნდა. ამერიკელებს არც ის ამშვიდებთ, რომ ჩინეთის ცენტრალურმა ბანკმა საპროცენტო განაკვეთები ასწია და კომერციულ ბანკებს სარეზერვო კაპიტალი გაუზარდა (ეს იაუნის ნაკლებ მიმოქცებას და წესით მის გამყარებას ნიშნავს). ეს ჩინეთისათვის გაკეთდა და არა აშშ-სათვის, რომელსაც დიდი ხანია აწუხებს ჩინეთთან უზარმაზარი სავაჭრო დეფიციტი.

მიღწევები სხვა სფეროებში იქნა მიღწეული. ჩინეთი დათანხმდა 10 მილიარდიდან 30 მილიარდამდე ასწიოს ის ზედა ზღვარი, რომელიც უცხოური კომპანიებისათვის ჩინური აქციების შესყიდვაზე იყო დაწესებული. ასევე გაიზარდა ორმხრივი ავიარეისების რიცხვი, აშშ-ის ტვირთს კი ჩინეთში შეუზღუდავი დაშვება მიეცა. მაგრამ იუანის საკითხი გადაუჭრელია და ჩანს კვლავაც საკმაოდ დიდი ხნით დარჩება ორმხრივი ეკონომიკური ურთიერთობების მთავარ პრობლემად. პრობლემას ისიც ამძაფრებს, რომ ორივე მხარეს ქვეყნის შიგნით ქულების დაწერა სურს (აშშ-ში 2008 წელს საპრეზიდენტო არჩევნებია, ჩინეთში კი ოქტომბერში ეროვნული სახალხო კონგრესი ტარდება) და ამიტომ ამ საკითხში დათმობას არ აპირებენ.

ასე რომ იაუნის საგა მომავალშიც გაგრძელდება.